

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა.
2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 2018 წლის თებერვალი - 2018 წლის 31 დეკემბერი.
3. პროგრამის ბიუჯეტი: 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარი.
4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი.
5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი.

1. პროგრამის მიზანია დაეხმაროს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ (რეგისტრირებულ) მოქალაქეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი.

1. პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სახლდაზიანებული მოქალაქეების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეთა კატეგორია.

1. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ (რეგისტრირებულ) სოციალურად გაჭირვებულ მოქალაქეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლი დაზიანებულია და საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული სოციალურად გაჭირვებული მოქალაქეებია, რომელთა ოჯახებიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ასევე მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფი, მარტოხელა პენსიონერთა, მრავალშვილიანთა, მძიმე ავადმყოფთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულ ან დასახიჩრებულ მემარ მოქალაქეთა ოჯახები.
3. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქე (ოჯახი) პროგრამით განსაზღვრულ მატერიალურ დახმარებას მიიღებს მხოლოდ ერთჯერადად.

მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებისათვის გასაცემი მატერიალური დახმარების სახეობა, ოდენობა და მისი გაცემის პირობები.

1. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების სახით გაიცემა შემდეგი სამშენებლო მასალები:
 - ა) სამშენებლო ბლოკი;
 - ბ) ცემენტი;
 - გ) სახურავის ფენილი;
 - დ) არმატურა.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული სამშენებლო მასალების შესყიდვას ახორციელებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. პროგრამით სარგებლობის მსურველი მოქალაქე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, დაზიანებული საცხოვრებელი სახლის საკუთრების

დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ განცხადებას შეისწავლის თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომელიც ამოწმებს მოქალაქის საცხოვრებელი სახლის მდგომარეობას, მოქალაქის ოჯახის სოციალურ პირობებს და ადგენს შესაბამის დასკვნას მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილების (რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს მოქალაქისათვის გასაწევი მატერიალური დახმარების ოდენობა) ან მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

5. კომისიის დასკვნა შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცემა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურს, რომელიც კომისიის დასკვნის საფუძველზე ამზადებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს სამშენებლო მასალების მოქალაქისათვის გადაცემის შესახებ, ან მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

6. განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში პროგრამით მოსარგებლე მოქალაქისათვის სამშენებლო მასალების გადაცემა ხდება ქ. თერჯოლაში, სამშენებლო მასალების მომწოდებლის მეშვეობით.

7. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქისათვის სამშენებლო მასალების გადაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება, მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა) მომზადებას უზრუნველყოფს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური.

8. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებს პროგრამის ფარგლებში მიეცემათ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარის ღირებულების სამშენებლო მასალა.

9. კომისიის დასკვნის საფუძველზე, პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებს პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია მიეცეს არა უმეტეს 1000 (ათასი) ლარის ღირებულების სამშენებლო მასალები.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე

ნ. ჯანელიძე